ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 04. 11. 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №414-ს

ქ. თბილისი

მარიამ ტაბაღუას ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მიღების პროცესის განხორციელებისთვის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 2 ნოემბრის N1056785 ბრძანების „2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო,დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი აკადემიური ხარისხი და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მიენიჭებათ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, რაც წარმოადგენს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სამაგისტრო გამოცდაზე/გამოცდებზე დაშვების წინაპირობას“; .ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-8 და მე-10 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. *მარიამ ტაბაღუას* საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

მიღების პროცესის განხორციელებისთვის ადმინისტრირების ვადები განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დადგინდეს მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N2-ის შესაბამისად.

3. ბრძანების პირველი პუნქტის დანართი №1-ით განსაზღვრული ვადების გაცნობა *მარიამ ტაბაღუასთვის* და ვადების დაცვის უზრუნველყოფა დაევალოს ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს;

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ენების ცენტრს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

<u>დანართი N1</u>

მაგისტრატურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. გამოცდა სპეციალობაში – 2020 წლის **4 ნოემბერი**;
2. გამოცდა უცხო ენაში - 2020 წლის **5 ნოემბერი**;
3. გამოცდის შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება – 2020 წლის **5 - 7 ნოემბერი**
4. აპელაციის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის **9 ნოემბერი**;
5. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატთან - 2020 წლის **9 ნოემბერი**;
6. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2020 წლის **9 ნოემბერი**.

<u>დანართი N2</u>

მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, (*2020 წლის კურსდამთავრებულებისთვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
3. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
5. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
6. სტუდენტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).